

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის  
სამინისტრო  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

**თემურ ლეშკაშელი**

**მობილური ხიდური აგრეგატის ძალურ-  
ენერგეტიკული პარამეტრების გამოკვლევა  
დაბალღეროიანი კულტურების წარმოების  
ინტენსიფიკაციის მიზნით**

ტრანსპორტის დარგში ინჟინერიის დოქტორის (0407) აკადემიური  
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

**ავტორეფერატი**

ქუთაისი 2020

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის  
სამინისტრო  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რანი ჭაბუკიანი-ტექნიკის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორ-ემერიტუსი, ეკოლოგიის  
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

- რეცენზენტები:
1. ზაზა მახარობლიძე-რაფიელ დვალის სახელობის  
მანქანათა მექანიკის სამეცნიერო კვლევითი  
ინსტიტუტის მობილური მანქანების განყოფილების  
წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ტექნიკის  
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
  2. გიორგი ფურცხვანიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის პროფესორი.
  3. თამაზ ცანავა - აკაკი წერეთლის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ემერიტუსი. ტექნიკის  
მეცნიერებათა დოქტორი.

დისერტაციის დაცვა შედგება 2020 წლის 27 ოქტომბერს 14<sup>00</sup> საათზე  
საინჟინრო -ტექნიკური ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექ-  
მნილ სადისერტაციო კომისიის სხდომაზე. მისამართი: ქუთაისი. თამარ  
მეფის ქ. 59. I კორპუსი, აუდ. №1114.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია აკაკი წერეთლის სახელ-  
მწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მისამართზე: 4600. ქუთაისი. თა-  
მარ მეფის ქ. 59.

ავტორეფერატი დაიგზავნა “ \_\_\_\_\_ ”  
(თარიღი)

სადისერტაციო საბჭოს

მდივანი ასოც.პროფესორი

\_\_\_\_\_

(ხელმოწერა)

/ნ. სახანბერიძე/

## სამუშაოს ზოგადი დახასიათება

**თემის აქტუალობა:** იმერეთის რეგიონის ცენტრალურ ნაწილში დიდი ხანია, ტრადიციად იქცა მებოსტნეობა, რაც ამ რეგიონის სოფლის მოსახლეობის ძირითადი საარსებო კულტურაა. ამას ხელი შეუწყო ოდითგანვე საუკეთესო ნიადაგობრივ-კლიმატურმა პირობებმა და წარმოებული ნედლეულის მაღალმა ხარისხმა, რის გამოც მათ დიდი ხანია მოიპოვეს სტაბილური საშინაო და უცხოური სარეალიზაციო ბაზარი. უნდა აღინიშნოს რომ მოთხოვნა ამ კულტურებზე დღითი დღე იზრდება. საქართველოში წარმოებული ბოსტნეული კულტურების ძირითადი უპირატესობა არის მისი მაღალი საგემოვნო თვისებები, ეკოლოგიური სისუფთავე და არასეზონური წარმოებისათვის ხელსაყრელი კლიმატი.

ცნობილია რომ ბოსტნეული კულტურების მოვლა-მოყვანის სამუშაოები მძიმეა, მოუხერხებელი და გარდა ზოგიერთი ოპერაციებისა ძნელად ემორჩილება მექანიზაციის გამოყენებას, რის გამოც დომინირებს საკმაოდ მძიმე ხელით შრომა.

ამ კულტურების წარმოების ინტენსიფიკაციის გაზრდის მიზნით, მეურნეობრიობის თანამედროვე პირობებში, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მექანიზაციის საშუალებების ენერგოეფიციენტად ე.წ. ხიდური აგრეგატის (ხა) გამოყენება, რომელიც მოემსახურება საშუალო და მცირეკონტურიან დახურულ ან ღია გრუნტზე ბოსტნეულისა და სხვა დაბალღეროიანი კულტურების მოვლა-მოყვანის სამუშაოებს (სეზონზე ნიადაგის მრავალჯერადი დამუშავება, მორწყვა, სასუქის შეტანა და ა.შ.). იგი მნიშვნელოვნად შეამცირებს ოპერაციების ჩატარების აგროვადებს, რაც საჭიროა საქართველოში კლიმატური პირობების მკვეთრად შეცვლის პირობებში, უზრუნველყოფილი იქნეს სეზონზე რამდენიმე მოსავლის მიღება.

ხა-ში სატრაქტორო საბურავების უარყოფითი გავლენა ნიადაგის ფიზიკო-მექანიკურ თვისებებზე აღარ არსებობს და შესაბამისად მოსავლიანობის დაცემის საშიშროება გამორიცხებულია. ხა-ის მომსა-

ხურე ფართობზე, როგორც მცირე მოცულობის სამიწათმოქმედო ბაზაზე, წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ ბიოლოგიური პრეპარატები და სასუქები, რომელიც ორგანული მიწათმოქმედების ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა ევროკავშირის ბაზარზე.

ხიდური ენერგოუზრუნველყოფის პირობებში ნიადაგდამამუშავებელ მანქანებს სატრაქტორო აგრეგატებთან განსხვავებით ექმნებად მუშაობის სპეციფიკური პირობები (დაკიდებული მდგომარეობა). შესაბამისად საჭიროდ მივიჩნით ამ პროცესის მეცნიერული შესწავლა და ანალიზი.

შესაბამისად სადისრეტაციო თემა კავშირშია ხა-ის როგორც მობილური სტაციონალური დანადგარის საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური, ეკონომიკურ-ეკოლოგიური და თეორიული საკითხების დამუშავებასთან, რის გამოც მის აქტუალობაში და პრაქტიკულ გამოყენებაში ეჭვი არ გვეპარება.

**სამუშაოს მიზანი და ამოცანები:** ხა-ი, როგორც სასოფლო-სამეურნეო ოპერაციების ჩატარების მექანიკა-ტექნოლოგიური სისტემა და მისი პოპულარიზაცია ფერმერულ მეურნეობებში. მასზე დაკიდებული ნიადაგდამამუშავებელი ფრეზის ძალურ-ენერგეტიკული პარამეტრების ოპტიმიზაცია.

დასახული მიზნის მისაღწევად საჭიროა შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაჭრა:

- ხიდური აგრეგატისა და მისი ტექნოლოგიური მოდულის დაპროექტებისა და გაანგარიშების მეთოდიკის დამუშავება, ხა-ის ცალკეული კვანძების საინჟინრო გაანგარიშება, მათი საიმედო მუშაობის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების დამუშავება და ძალურ-ენერგეტიკული პარამეტრების გამოკვლევა;
- ხა-თან დაკომპლექტებული ნიადაგდამამუშავებელი ფრეზის ამძრავის კონსტრუქციული თავისებურებების დასაბუთება და მისი დამოუკიდებელი ჯალამბრული მექანიზმის წევით-ენერგეტიკული უზრუნველყოფა.
- ფრეზირების ტექნოლოგიური პროცესის ხარისხის მაჩვენებლებ-

ბის ოპტიმიზაცია;

- ხა-ის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა. მასთან სხვადასხვა კულტურების მოვლა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაციის გათვალისწინებით.

**მეცნიერული სიახლე:**

- ხა-ი, როგორც მაღალი მექანიკა-ტექნოლოგიური ხარისხის მქონე მობილური ენერგეტიკული საშუალება სოფლის მეურნეობაში;
- ხა-ის დაპროექტებისა და გაანგარიშების თეორიული საფუძვლების და მისი ძალური და ენერგეტიკული პარამეტრების განსაზღვრის მეთოდის დამუშავება;
- ბოსტნეული და დაბალღეროიანი კულტურების მოვლა-მოყვანის სამუშაოებზე გამოყენებული ხიდური ამძრავისა და მასთან დააგრეგატირებული მანქანების პრინციპული სქემების დამუშავება;
- ხა-ზე სასოფლო სამეურნეო მანქანების დაკიდების მექანიზმის (ტექნოლოგიური მოდულის) დაპროექტება და მისი ამძრავის ენერგეტიკული უზრუნველყოფა;
- ხიდურ აგრეგატზე დაკომპლექტებული ნიადაგდამამუშავებელი როტაციული მანქანის მუშაობის თეორიული და ექსპერიმენტალური გამოკვლევა და სათანადო პარამეტრების დასაბუთება;
- ხა-ის ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტიანობის გაანგარიშება;

**კვლევის ობიექტი:** ხიდური ამძრავი და მასთან დააგრეგატირებული ნიადაგდამამუშავებელი მანქანა-იარაღი.

**სამუშაოს პრაქტიკული ღირებულება:** დამუშავებულია ხა-ის პროტოტიპის მექანიკა-ტექნოლოგიური პროექტი ტექნოლოგიურ მოდულთან (ტმ) ერთად, რომელიც გამოიყენება მცირე ნაკვეთებზე მაღალმოსავლიანი დაბალღეროიანი კულტურების წარმოების მოცულობის გაზრდის მიზნით.

**სამუშაოს განხილვა:** სადისერტაციო ნაშრომის შედეგების შესახებ მოხსენებები გაკეთდა:

1. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებლობისა და

ტრანსპორტის დეპარტამენტში ტრანსპორტის მიმართულების სამეცნიერო-პრაქტიკული სემინარები, აწსუ, ქუთაისი, (2017-2020წწ)

2. საქართველოს მექანიკოსთა კავშირის X ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია . ქ.თელავი . აწსუ. 26.09.2019--28.09.2019 წ.
3. V INTERNACIONAL SCIENTIFIC CONFERENCE - Production of environmentally safe low-stalk agricultural raw materials using the bridge assembly. HIGH TECHNOLOGIES.BUSINESS.SOCIETY 09-12.03.2020 BULGARIA. university Sofia .

**გამოქვეყნებული მასალები:** დისერტაციის მასალების მიხედვით გამოქვეყნებულია 8 ნაშრომი, მათ შორის 5 მაღალრეიტინგულ რეცენზირებად ჟურნალებში, რომლებიც რეკომენდირებულია აწსუ-ს საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ.

**სამუშაოს სტრუქტურა და მოცულობა:** დისერტაცია შედგება ხუთი თავისაგან და შეიცავს 19 ფოტოს, 8 ცხრილს, 25 ნახაზს, ლიტერატურის 118 დასახელებას. საერთო მოცულობა შეადგენს 156 გვერდს.

სამუშაოს შინაარსი

ნაშრომის პირველ თავში წარმოდგენილია ბოსტნეული კულტურების ზოგიერთი აგროტექნიკური მახასიათებლები, რომლის მოვლა - მოყვანას იმერეთის რეგიონში კარგი ტრადიცია აქვს. სამწუხაროა, რომ ამ უკანასკნელ პერიოდში კომერციული საქმიანობის შეფერხების გამო ამ საქმის საუკეთესო სპეციალისტები - პრაქტიკოსები გაიხიზნენ საზღვარგარეთ, სადაც დაიწყეს ამ საქმის ბიზნესი, განსაკუთრებით ირანში, თავიანთი ცოდნის და გამოცდილების რეალიზაცია. დიდი მოთხოვნილებაა ჩითილების წარმოებაზე რადგან ჩვენში, ტრადიციულ რაიონებში მოყვანილი ნედლეული ხასიათდება საუკეთესო საგემოვნო-სამკურნალო თვისებებით. სწორედ ნაიდაგობრივ-კლიმატური პირობების გამო ირანსა და სხვაგან წარმოებული პროდუქცია გაცილებით დაბალი ხარისხის აღმოჩნდა ვიდრე ჩვენში.

ბოსტნეულ კულტურებში მოიაზრება ოცამდე სხვადასხვა სახეობა, რომელთა მოვლა-მოყვანის აგროტექნიკა მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან.

ბოსტნეულის მოვლა-მოყვანის საქმეში მთავარია ნიადაგის გულდასმით დამუშავება წვრილ კომტებად (აგრეგატებით), მათი დაქუცმაცება, რათა მან ხელი არ შეუშალოს ისედაც სუსტ ღეროებად აღმოცენებას. ამასთან ხარისხის შენარჩუნების მიზნით საჭიროა რიგი პერსპექტივებით ნიადაგების მუდმივი მკურნალობა.

ხიდური აგრეგატი (ხა-ი) საუკეთესო საშუალებაა, რათა ბოსტნეული კულტურების წარმოება თავისუფლად გადაერთოს ორგანული სოფლის მეურნეობის რელსებზე, რომელსაც დიდი მომავალი აქვს, როგორც ჯანსაღი პროდუქციის წარმოების, აგრეთვე რეალიზაციის საქმეში, განსაკუთრებით გარე ბაზარზე.

ორგანული სოფლის მეურნეობა (ოსმ) არის აგროსაქონელწარმოების მართვის ერთიანი სრულყოფილი სისტემა, რომელიც ხელს უწყობს აგროეკოსისტემის შენარჩუნებას და უზრუნველყოფს აგრონედლეულის სიჯანსაღეს.

ოსმ მჭიდრო კავშირშია ეკოლოგიურ სოფლის მეურნეობებთან (ესმ), რომლებიც მე-20 საუკუნის 20-იან წლებში ჩაისახა და მისი თანდათანობით განვითარების გზით მოვედით 80-იან წლებამდე, როცა საერთაშორისო სამეურნეო ურთიერთობებში გაჩნდა ისეთი ტერმინოლოგია, როგორცაა: „მწვანე რევოლუცია“, ეკოლოგიური სტანდარტები, ოსმ-ის რეგულირება (2002 წლიდან), ისინი აღიარეს ევროპის ქვეყნებსა და ამერიკაში.

„ორგანული მიწათმოქმედების საერთაშორისო ორგანიზაცია“ (IFOAM, ვერსალი, საფრანგეთი, 1972 წ.) მოიცავს 300-მდე ეკოლოგიურ კავშირს, რომელთა ბუმი გასული საუკუნის ბოლოს დაიწყო. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ 21-ე საუკუნის I ნახევარში მოხდება აგროსაქონელწარმოების ეკოლოგიზაცია ცალკეული კომპანიების და კერძო მესაკუთრეების მხრიდან, რათა მათ დაიმკვიდრონ მზარდი ეკოლოგიური ბაზარი.

ასეთი მიმართულებები მორგებულია ხიდური მიწათმოქმედების ძირითად მიმართულებებზე, რომელიც შეიძლება განხორციელდეს როგორც ლატიფუნდიური, ისე კერძო მინი მეურნეობების პირობებში.

ოსმ მოიცავს მიწათმოქმედების მთელ გამას, მაგრამ ძირითადად ეყრდნობა მიმართულებას, როცა ნიადაგი რჩება ყოველგვარი ხელოვნური სასუქების გამოყენების გარეშე.

ჩვენს ქვეყანაშია შექმნილი<sup>1</sup> თხევადი, ბიოლოგიური პრეპარატები და ორგანული სასუქები, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი მოქმედების უნივერსალობითა და საიმედოობით და ისინი თამამად შეიძლება იქნას გამოყენებული ხა-ების ქვეშ გამოყენებულ ნაკვეთებზე. ეს პრეპარატებია: ბიოკატენა, ფიტოკატენა, აგროკატენა, ლეპიდინი, ტურინგენი, ბოვერინი და სხვა. ისინი ფართოდ შეიძლება გამოვიყენოთ ნებისმიერი კულტურების დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად და აგრეთვე გამოფიტული (ხანგრძლივი ექსპლოატაციის გამო) ნიადაგის ნაყოფიერების ასამაღლებლად, რაც ძალიან

<sup>1</sup> BIOAGRO - მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრი (თბილისი).



მნიშვნელოვანია ხა-ის ქვეშ დატვირთული ერთი და იგივე ნიადაგ-ბისათვის.

ამასთან პირველ თავში ყურადღებას ვამახვილებთ ხიდური აგრეგატის, როგორც ელექტროფიცირებული გამწევი ძალის თემატიკაზე არსებული ლიტერატურის მიმოხილვას, შედეგად გამოიკვეთათ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

აგროსასურსათო სექტორის საბაზრო საწყისებზე გადასვლა, როგორც წესი გულისხმობს სრულიად ახალ მიდგომებს მეცნიერული და ტექნოლოგიური უზრუნველყოფის თვალსაზრისით. კონკურენცია ამ სფეროში სტიმულს აძლევს აგრობიზნესის განვითარებას და ქმნის საშუალებას გაზარდოს ფინანსური საშუალებები თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გზით, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს ეკოლოგიურად სუფთა აგრონედლეულის წარმოებაზე. ამ მხრივ ხიდური აგრეგატი (ხა) უზრუნველყოფს ნიადაგის თვისებების შენარჩუნებას, რომელსაც აუარესებენ სატრაქტორო აგრეგატების სავალი თვლები, მისცეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებას სამრეწველო ხასიათი, მაქსიმალური ავტომატიზაციისა და კომპიუტერიზაციის გამოყენების შესაძლებლობა.

აგროხიდური ტექნოლოგია შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც სასოფლო-სამეურნეო მანქანების მოძრაობის მარშუტიზაცია, რომელიც ფერმერს მთელი სეზონის განმავლობაში მოემსახურება ამა თუ იმ კულტურის მოვლა მოყვანის და აღების სამუშაოებზე. მისი საშუალებით შეიძლება მოგვარდეს შემდეგი ღონისძიებები:

-ხიდური აგრეგატების გამოყენების დროს 1,5- ჯერ მცირდება თესლის, წყლის, ფართობების არარაციონალური გამოყენების ფაქტები, რაც კიდევ ერთხელ განამტკიცებს აგროხიდური კომპლექსის შემდეგ უპირატესობებს;

- აგროტექნიკურ ვადებში სამუშაოების შესრულება დღის ნებისმიერ დროს;

-ბუნებრივი გარემოს დაცვა შხამქიმიკატებისა და ნავთობპრო-

დუქტების ჩაღვრისაგან;

- ერთეულ პროდუქციაზე წყლის, თესლის, სასუქის ლითონისა და ენერჯის მნიშვნელოვანი დანაზოგი.

- თხევადი საწვავების ეკონომია, ცენტრალიზებული ელექტრომომარაგების გამოყენების შედეგად;

- საველე სამუშაოებზე მომსახურე პერსონალის რაოდენობრივი შემცირება ტექნოლოგიური ოპერაციის ავტომატიზაციის გამო;

- ფერმერის შრომის პრესტიჟის ამაღლება;

- მიღებული აგრონედლეულის შრობა, შეფუთვა და სასაქონლო მდგომარეობის მიცემა ადგილზე.

რა თქმა უნდა ხა-ს ახასიათებს გარკვეული უარყოფითი მხარეებიც; როგორცაა მთელი სამუშაოს მიჯაჭვა რელსებს შორის არეში, რომლის სიგანეები შესაძლებელია იყოს სხვადასხვა. აგრეთვე ერთ-ერთი მიზეზი მისი გაუვრცელებლობისა არის შედარებით მაღალი ღირებულება, რომელზეც ფერმერმა შეიძლება უარი თქვას.

ხა-ებს განვითარების საკმაოდ საინტერესო ისტორია აქვს. რიგმა მეცნიერებმა დაიწყეს მათი დაპროექტება, ასეთები იყვნენ: ინგლისელი ხალკოტი, რუსი პრასტოროვი, ბორინი, პოლონელი სვეცკი, იუნეცკი, პრავისტორავი და სხვები. მათ შექმნეს გასული საუკუნის 30-იან წლებში მიწათმოქმედების ხიდური სისტემები. ამას მოჰყვა ელექტროტრაქტორების შექმნის პრეცედენტები, მონორელსური ტექნიკა უკრაინაში (ხარკოვი), აშშ GE Elec-Trak „New idea“ და Vazsatile-160 , Q “Yanmaz” იაპონიაში და ა.შ.

საქართველოში ეს საქმე დაიწყო პროფ. ა.დიდებულისძემ პროფ. კ. ამირეჯიბმა და ასპირანტმა ვ.მანველისძემ, მათ „ფორდმონის“ ბაზაზე შექმნეს ელექტროძრავიანი ტრაქტორი.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან საქართველოს კ.ამირეჯიბის სახ. მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლების (ვ.მეტრეველი, შ.ჭელიძე) ხელმძღვანელობით შეიქმნა ფერდობებზე სამუშაოდ განკუთვნილი ელექტროტერასიორი.

1980-90 წ.წ-ში სოხუმში საქართველოს სუბტროპიკული მეურ-

ნეობის ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტზე პროფ. ვ. ჭიჭინაძის ხელმძღვანელობით განხორციელდა შწმ -იანი მონორელსური ტრანსპორტიორის გაუმჯობესების სამუშაო, რომელიც განკუთვნილი იყო ციტრუსოვანთა მოვლა-მოყვანის სამუშაოებისათვის მთაგორიან პირობებში.



**ფოტო -1 ხიდური აგრეგატი**

L-საქცევის სიგრძე  $L=50$  მ;

1.-ხა-ის სახელოსნო; 2. -შედულებითი კონსტრუქცია;

3. -რელსები; 4. -ტექნოლოგიური მოდული.

$C_1, C_2, C$  - საქცევის სიგანეები თითოეული 10მ სიგანის .

სულ ხა-ის ქვეშ ფართი  $F=1500$  მ<sup>2</sup>

ხიდური აგრეგატი გადაადგილდება (იხ.ფოტო-1) მართკუთხა ნაკვეთის გრძივ პერიმეტრზე მუდმივად ჩამონტაჟებულ რელსებზე და მოძრაობისას მოიცავს მთელ დასამუშავებელ ფართს. იგი წარმოადგენს შედულებით შექმნილ მეტალოკონსტრუქციას (კუთხოვანების, შველერების და სხვა სორტამენტული მასალებისაგან დამზადებულ შეერთებებს), რომელსაც რელსებზე გადაადგილებისათვის აქვს სავალი თვლები, მათგან ორს (მარჯვენა და მარცხენა) ამძრავის

ფუნქცია აკისრია. ენერჯის წყაროდ გამოყენებულია ელექტროძრავები, რომლებიც შეერთებულია რედუქტორთან, ჯაჭვურ გადაცემასთან და წამყვან თვლებთან.

ხა-ის ძირითად სამუშაო სისტემას წარმოადგენს ავტონომიური ამძრავის ფუნქციის მქონე ტექნოლოგიური მოდული. მასზე შეიძლება დამონტაჟდეს სხვადასხვა ადაპტირებული სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღი. ჩვენს შემთხვევაში განხილულია ნიადაგის ზედაპირული დამუშავებისათვის საჭირო აქტიური სამუშაო ორგანოს მქონე ფრეზი, ნიადაგის დამუშავებას აწარმოებს როცა ხა-ი არის გაჩერებულ მდგომარეობაში.

ტექნოლოგიური მოდულის - უნივერსალური საკიდი მექანიზმის გადაყვანა არასამუშაო მდგომარეობიდან სამუშაო მდგომარეობაში წარმოებს 0,8 კვტ-იანი ელექტროძრავით. ხა-ის კონსტრუქცია (განსაკუთრებით სიმაღლე) შეიძლება განისაზღვროს აგრონედლეულწარმოების სპეციალიზაციის გათვალისწინებით. ჩვენი შემთხვევისათვის იგი დამზადებულია ე.წ. დაბალდეროიანი კულტურების მოვლა-მოყვანის სამუშაოების შესასრულებლად, რაც უფრო მეტად გამართლებულად მიგვაჩნია.

ტექნოლოგიური მოდული-ურიკა მარტივი კონსტრუქციისაა, მისი მართვა (გადაადგილება) წარმოებს დამოუკიდებელი ამძრავით (ელექტროძრავა, რედუქტორი, ჯალამბარი, ბაგირი და სხვ. აქსესუარები).

ხა-ი აღჭურვილია აგრეთვე მახლოკირებელი (სამუხრუჭე) მოწყობილობით, რომელიც მას იცავს თვითგადაადგილებისაგან ქარიან ამინდში.


იმის გათვალისწინებით რომ ხა-ი სტაციონალური დანადგარია, მასზე შეიძლება ვეძიოთ ენერჯის ალტერნატიული წყაროები (მზის, ქარის და სხვ.). მით უფრო, იმის და მიხედვით, თუ რომელი კულტურის მოვლა-მოყვანასთან გვაქვს საქმე, გამოიყენება სეზონურად აგროტექნიკის მოთხოვნების შესაბამისად. იგი ეფექტურია მოსავლის აღების დროსაც რადგან ამ აგრეგატზე შეიძლება მოეწყოს ნედ-

ლეულის პირველადი გადამუშავება, შრობა, დაფასოება და ა.შ.

ნახაზზე ნაჩვენებია ხა-ის გადაადგილების მიმართულება,  $V_1$  სიჩქარით.

ტექნოლოგიური მოდულის (ურიკა დაკიდების მექანიზმით) მოძრაობის მიმართულება,  $V_2$  სიჩქარით.

ტექნოლოგიურ მოდულთან დაკომპლექტებული ფრეზის მოდულის განი (B).



**ნახ. 1. ელექტროფიცირებული ხიდური აგრეგატის პრინციპული სქემა**

- ბ.1, ბ.3 და ბ.2, ბ.4 - ხიდის უკანა და წინა გვერდითი მდგომარეობის ბლოკ-კონტაქტები (ბ.კ.) შესაბამისად.
- ბ.5 და ბ.6 - ურიკას მარჯვენა და მარცხენა მდგომარეობის ბ.კ. შესაბამისად.
- ბ.7, ბ.9 და ბ.8, ბ.10 - ბორბლების ზედა და ქვედა მდგომარეობის ბ.კ. შესაბამისად.
- ბ.11 - ხიდის რელსებზე დგომის განმსაზღვრელი ბ.კ.
- ძ. 3 ძ. 4 - ძ. 5 - სხვადასხვა სიმძლავრის ძრავები.

ხა-ის უნივერსალობა იძლევა საშუალებას მექანიზმის, რომ იგი მივიჩნიოთ არა მარტო მექანიზაციის, არამედ ავტომატიზაციის, რო-

ბოტიზაციისა და კომპიუტერიზაციის გამოყენების ობიექტად.

აღსანიშნავია, რომ ხა-ი, ორი ათეული წლის უკან შექმნა ქ.ქუთაისში ელექტროინჟინერმა გ.ხელაძემ. ჩვენი მიზნია ამ ობიექტის პოპულარიზაცია ფერმერთა შორის სათანადო რესურსდამზოგი მასალების გამოყენებითა და ეკონომიურობის დასაბუთებით, თუმცა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები მასზე ჩატარებული არ ყოფილა.

ხი-ს ემსახურება ხუთი ელექტროძრავა: ორი ძრავა 1 კვტ-იანი ხა-ის გადასაადგილებლად ნაჩვენებ ფართობზე ( $F=CL, \rho$ ); ერთი ძრავა 3 კვტ-იანი ტექნოლოგიურ მოდულზე დაკომპლექტებული ფრეზის მუშაობას, ხოლო თითო-თითო ძრავი 0,8 კვტ-იანი გამოყენებულია ტექნოლოგიური მოდულისა და ჯალამბრის მოძრაობაში მოსაყვანად.

ამავე თავში წარმოგიდგენთ ჩატარებული კვლევითი სამუშაოების შედეგებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანების შერჩევის მიზანით, როგორც მცირე, ასევე დიდი მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებიდან ძირითადი სამუშაოების შესასრულებლად შერჩეულ ხა-თან კონსტრუქციულად ადვილად დასაკომპლექტებელ მანქანათა კომპლექსს- რომელებსაც შეუძლიათ ჩაატარონ რიგი სამუშაოები როგორცაა: ნიადაგის დამუშავება, სამიზნე ფართობზე ბიოპრეპარატებისა და ბიოსასუქების შეტანა, მრავალჯერადი მორწყვა, თესვა, ჩითილების რგვა და სხვა. თითოეული მანქანის ხა-თან მუშაობის საკითხი ცალკე კვლევის ობიექტია, რის გამოც ნაშრომი, როგორც ზემოთ აღინიშნა მხოლოდ ნიადაგის დამუშავებას ეხება, დაკიდებულ ფრეზის მაგალითზე.

**ნაშრომის მეორე თავი** ეძღვნება ხა-ის ძირითადი კვანძებისა და დეტალების შერჩევასა და საინჟინრო გაანგარიშებებს, რაც საშუალებას გვაძლევს შემდგომში (მეხუთე თავში) შეგვეძლოს ხა-ისათვის საჭირო სორტამენტების, სამაგრი და სამშენებლო მასალების, ძრავების, რედუქტორების, დეტალების დამზადების, აწყობითი სამუშაოების და სხვა აქსესუარების ღირებულებების გაანგარიშება. ყოველივე ზემოთაღნიშნული აუცილებლობას წარმოადგენს ეკონომიკური ეფექტიანობის გამოსავლენად.

მესამე თავში გადმოცემულია ხა-ის ცალკეული კვანძების ფუნქციონირების თეორიული გამოკვლევები, მისი ამძრავების შერჩევა, ხა-ის ტექნოლოგიური მოდულის მუშაობის დინამიკური ანალიზი ფრეზირებისას, მისი საექსპლოატაციო რეჟიმები და სხვა. განვიხილოთ ტმ-ის მუშაობა.

ტმ-ი მოძრაობის დროს გამოიმუშავებს კინემატიკურ ენერგიას, რომელიც საბოლოოდ გამოითვლება ცნობილი ფორმულით

$$E = \frac{GV^2}{2g} + \frac{I\omega^2}{2} = M_{\text{დაყ}} \frac{V^2}{2} \quad (1)$$

სადაც  $G/g$ - ტმ-ის მასაა, კგ;  $V$  ტმ-ის გადაადგილების (ბაგირი) სიჩქარე, მ/წმ;  $I$ -ფრეზის ბრუნავი ნაწილების ინერციის მომენტი, კგმ<sup>2</sup>;  $\omega$ -ფრეზის კუთხური სიჩქარე, წმ<sup>-1</sup>;  $M_{\text{დაყ}}$  ტმ-ის მბრუნავი და სწორხაზობრივ-გადატანით მოძრაობაში მყოფი ნაწილების დაყვანილი მასები, კგ; ხოლო ტმ-ის მიერ შესრულებული მუშაობა რომელიც  $E$ -ს ადეკვატური იქნება გამოითვლება ფორმულით

$$du = (P_x - P_g - P_{\text{ფრ}}) \cdot v dt \quad (2)$$

რადგან ტმ-ის დამყარებული მოძრაობის შემდეგ ( $V=const$ ) ფრეზის ინერციის მომენტი  $I = M \frac{dv}{dt}$  აღარ არსებობს, (2) მიიღებს სახეს

$$P_x = P_g + P_{\text{ფრ}} \quad (3)$$


სადაც  $P_x$ -ტმ-ის ჯალამბრის მიერ განვითარებული წევის ძალა, კგ;

$P_g$  - გადაადგილების წინააღმდეგობა კგ;  $P_{\text{ფრ}}$  -ფრეზის წინააღმდეგობა, კგ;

ამრიგად ტმ-ის მოძრაობა, ისე როგორც თვით ხა-ისა შეიძლება აღწერილ იქნას ლაგრანჟის მეორე რიგის დიფერენციალური განტოლებით, რომელიც საფუძვლად უდევს მოძრავი სხეულების დინამიკური ქმედების პრინციპებს და არ განსხვავდება სხვა კონსტრუქციების მქონე მოქმედი ობიექტებისაგან. მხედველობაში გვაქვს სატრაქტორო, სატრანსპორტო და სხვადასხვა დანიშნულების აგრეგატები.

ნახ. 2-ზე ნაჩვენებია არსებული (მოქმედი) ხა-ის კინემატიკური

სქემა ენერგიის წყაროების ჩვენებით. სქემაზე ცენტრში ნაჩვენებია ჩვენს მიერ გაუმჯობესებული კონსტრუქციის ტმ-ი (B), რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა მანქანების ხა-ზე დაკიდების სისტემას. ტმ-ი მოძრაობს მარჯვნივ და მარცხნივ ელძრავითა და ჯალამბრით, რომელიც ექაჩება ბაგირს, ტმ-ის ურიკა გორავს რელსებზე.



ნახ. 2 ხიდური აგრეგატის კინემატიკური სქემა


- A- ხა-ის ამძრავი: 1-ელექტროძრავა; 2-რედუქტორი; 3-ქურო; 4-ხა-ის თვალი; 5-ჯაჭვური გადაცემა; 6-რელსი ბეტონის საფუძვლით.
- B- ტექნოლოგიური მოდული: 7-ელექტროძრავა; 8-ქურო; 9-რედუქტორი; 10-ფრეზი; 11-ფრეზის ტრანსმისია; 12-ურიკის თვლები; 13- მცირე რელსი
- C- ტმ-ის საკიდი მექანიზმი: 14-ელექტროძრავა; 15-ქურო; 16-რედუქტორი; 17 გა-რეკვილანური გადაცემა; 18-ჭოკი; 19-ზამბარა;
- D- ჯალამბარი: 20 -ელექტროძრავა; 21-ქურო; 22-რედუქტორი; 23-ტროსის წამყვანი ლილვი; 24-ტროსის ამყოლი ლილვი.
- B+C- ტექნოლოგიური მოდული: (დახაზულია ცალ-ცალკე სირთულის გამო); 25- ხა-ის ჩარჩო (ზედხედში); 26-ხა-ის ჩარჩო (წინხედში); სქემაზე მარჯვენა წამყვანი თვალი გამოხაზული არაა.

დატვირთვები ხა-ის საყრდენ-სავალ თვლებზე ზოგჯერ გადა-ნაწილდება სიმეტრიულად, ზოგჯერ გრძივი და განივი მიმართუ-ლებით. ეს დატვირთვა ხიდური აგრეგატის მოედანზე დააგრეგატი-რებული სხვადასხვა აქსესუარების წონის არსებობის გამო იცვლება,



როგორებიცაა სახელოსნო ჯიხური, სახელოსნოს აღჭურვილობა. ტმ-ზე მაგრდება ნიადაგდამამუშავებელი მანქანა - ფრეზი და მისი ამძრავი მექანიზმი (ჯალამბარი, ჩარჩო, ფერმა, კარდანის ლილვი, რედუქტორი, გარე გადაცემა და ელექტროძრავა) და სხვადასხვა აქსესუარები.

ტმ-ის შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველყოფისათვის საჭიროა ურიკის თვლების მიმმართველებში გაჭედვის თავიდან აცილება



ნახ. 3 ტექნოლოგიური მოდულის (ურიკის) დინამიკური წონასწორობის საანგარიშო სქემა, წინხედი (ზემოთ) და ზედხედი (ქვემოთ)

ურიკის გამარტივებულ სქემაზე (იხ.ნახ.3) ნაჩვენებია ოთხი საყრდენი წერტილი: A, B, C და D სტატიკურად განუსაზღვრელი სისტემა. დინამიკურ და სტატიკურ მდგომარეობაში იგი დატვირთულია წონა  $G_{\delta}$  ძალით, ელექტროძრავა, რედუქტორი, ჯალამბარი, რომელიც უზრუნველყოფს ურიკის მოძრაობას მიმმართველებში რეაქციის ძალებით P, ფრეზირების წინააღმდეგობის

ძალით  $R$ . შედგენილია აღნიშნულ წერტილებში დატვირთვების დინამიკური წონასწორობის საანგარიშო მოდელი (4)

წონა ძალა წარმოადგენს სამუშაო ორგანოზე მოქმედ ჯამურ ვერტიკალურ ძალას. იგი ნაწილდება საყრდენ გორგოლაჭებზე ურიკის მოძრაობისას და მიმმართველებში წარმოქმნიან გადაადგილების საწინააღმდეგო ძალებს. აგრეთვე შეუღლებებში ჩადგმული საკისრების ამძრავი ძალები და მათ მიერ შექმნილი მომენტი აიძულებენ ურიკას შემობრუნდეს მოძრაობის მიმართულებიდან მარჯვნივ ან მარცხნივ.

როგორც აღინიშნა ტმ-ზე მოქმედებს სამი სხვადასხვა ძალა: პირველი ჯალამბარის მიერ შექმნილი ტროსით გაქაჩვის ძალა  $P$ , ტმ-ზე დააგრეგატირებული წინააღმდეგობის ძალა  $R$  და ტმ-ის საერთო წონა ძალა  $G_6$ , რომელიც აწეულია პორიზონტალური მდგომარეობიდან  $Z_0$  მანძილით, ( რადგან აქ თავსდება ტმ-ის დახრილი შეგუების ჩარჩო და თვით ფრეზი .  $G_6$  ნომინალური დატვირთვა ნაწილდება ოთხ საყრდენ საგორავზე  $A B C D$ ;  $G/4$  ძალა რჩება მუდმივი ხა-ის უკან დაბრუნების დროსაც და ეს გრძელდება მანამ, სანამ არ დამთავრდება ფართობის  $F=CL^2$  ფრეზირება. ამ დროს სამუშაო სვლების რაოდენობა  $n_{სს}=L/B$ , სადაც  $B$  აგრეგატის მოდების განია მ-ში. ( $B=0,7$  მ.)

ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობისას ფრეზის წინააღმდეგობის ძალა  $R$  არ შეიძლება მდებარეობდეს იდეალურად  $O$  წერტილში, რადგან ნიადაგის წინააღმდეგობა მოდების მთელ განზე იცვლება, ხოლო წვევის ხაზი იხრება კუთხით  $a$ , რაც წარმოქმნის საყრდენ -მიმმართველებში ურიკის თვლების გაჭედვის საშიშროებას ურიკის შემომბრუნებული მომენტის  $M$  წარმოქმნის გამო.

ამრიგად ტმ-ის საყრდენი ურიკის თვლებში დატვირთვის სიდიდეები იქნება

$$\left. \begin{aligned}
 A &= \frac{G+P}{4} + M \frac{\cos \alpha}{2 \left[ 2l - \frac{(G+P)Z_0}{cl} \right]} - M \frac{\sin \alpha}{2 \left[ b^2 + \frac{(G+P)Z_0}{cb} \right]} \\
 B &= \frac{G+P}{4} - M \frac{\cos \alpha}{2 \left[ 2l - \frac{(G+P)Z_0}{cl} \right]} - M \frac{\sin \alpha}{2 \left[ b^2 - \frac{(G+P)Z_0}{cb} \right]} \\
 C &= \frac{C+P}{4} + M \frac{\cos \alpha}{2 \left[ 2l - \frac{(C+P)Z_0}{cl} \right]} + M \frac{\sin \alpha}{2 \left[ b^2 + \frac{(G+P)Z_0}{cb} \right]} \\
 D &= \frac{C+P}{4} - M \frac{\cos \alpha}{2 \left[ 2l - \frac{(C+P)Z_0}{cl} \right]} + M \frac{\sin \alpha}{2 \left[ b^2 - \frac{(C+P)Z_0}{cb} \right]}
 \end{aligned} \right\} \quad (4)$$

ავლიშნოთ ტმ-ის ურიკის თვლების ღერძზე მოსული დატვირთვები  $y_1$  და  $y_2$ ; როგორც ჩანს ორივე ამ ძალის ვექტორები მოდებულა საგორავების გეომეტრიული ღერძების ცენტრში  $O$  წერტილში (ზედხედში) და  $D$  წერტილში (წინხედში).

ურიკის გადაადგილების დროს თავის მიმმართველებში გაჭედვის თავიდან აცილების მიზნით რაც გამოწვეულია აგრეთვე ხახუნის ძალებითაც ძალაში უნდა იყოს პირობა (უტოლობა) სახით

$$R = P_{\text{ბაჟ}} > x_A + x_B \quad (5)$$

სადაც  $P_{\text{ბაჟ}}$  - ჯალამბრის ბაგირის გაქაჩვის მაქსიმალური ძალაა,  $x_A, x_B$  შეუღლებებში ხახუნის ძალებია,  $R$ -ბაგირზე მოსული დატვირთვის მაქსიმალური ძალაა.

ამავე თავში წარმოდგენილია ხიდური აგრეგატის გამოყენებით ნიადაგის ფრეზირების დინამიკური გამოკვლევა.

ხა-ის როგორც სასოფლო-სამეურნეო აგრეგატის სტატისტიკური დინამიკის (იგივე რაც სტატისტიკური მექანიკა) ძირითადი მახასიათებელია მექანიკური მოძრაობა, რომელიც მოიაზრება არა დეტერმინიზმის, არამედ ინდეტერმინიზმის სფეროში. ეს უკანასკნელი გულისხმობს მოძრაობაში მონაწილე ყველა მოვლენის ცვალებად ბუნებას და მათ ერთმანეთზე მოქმედებასაც. მაგალითად, ნიადაგის დამუშავების დროს წვევის ძალის ცვალებადობა მერყეობს მისი სიდიდის 30 %-ის ფარგლებში და საანგარიშოდ მიღებულია მისი საშუალო მნიშვნელობა.

სტატისტიკური მექანიკის აზრით ყველა სასოფლო-სამეურნეო ოპერაცია წარმოადგენს ე.წ. "შავ ყუთს" მათში შემავალი და გამომავალი პარამეტრებით.

შემავალი პარამეტრებია:  $R(t)$  – ნიადაგის წინაღობა, რომელიც იწერება ტენზომეტრირებით ან დინამომეტრებით და მოცემულია ლიტერტურაში.

$\varphi(t)$  – ფრეზის გადახრა სწორხაზოვანი მიმართულებიდან მ-ში;

გამომავალი პარამეტრებია:  $N(t)$  – დახარჯული ძალა ან სიმძლავრე შესაბამისად კგ-ში ან კვტ-ში;

$z(t)$  - დაქუცმაცებული ბელტის მაქსიმალური ზომაა, მმ-ში; (დაქუცმაცების ხარისხი).

საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ მოცემული მაგალითისათვის ხა-ის და არა სატრაქტორო აგრეგატის ძალურ-ენერგეტიკული დანახარჯები იმდენად მნიშვნელოვანი არაა, რამდენად ნიადაგის დამუშავების (დაქუცმაცების) ხარისხი, რამეთუ ეს ფაქტორი მნიშვნელოვანია ბოსტნეული კულტურების აღმოცენების საქმეში და პირდაპირ მოქმედებს მოსავლიანობაზე ამიტომ ჩვენი ექსპერიმენტალური სამუშაოები სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა.

აქ ბუნებრივად დგება შემავალი და გამომავალი პარამეტრების დაკავშირების საკითხი ე.წ. ოპერატორის ( $W$ ) საშუალებით, რაც უნდა ჩანდეს პროცესზე მოქმედი დინამიკური პარამეტრები.

$$y(t)=Wx(t) \quad (6)$$


ოპერატორის ანალიზური განსაზღვრა რიგ შემთხვევაში რთული ამოცანაა, რადგან ისინი ხშირად არ არიან არგუმენტებსა და ფუნქციებს შორის წრფივ დამოკიდებულებაში, ამიტომ აქ იყენებენ ე.წ. იდენტიფიკაციის (გაწრფივების, ლინეარიზაციის) მეთოდს, რაც აიოლებს კვლევას. ამ მეთოდებიდან ერთ-ერთია „რეგრესის“ მეთოდი, რაც გულისხმობს ემპირიული დამოკიდებულებების პოვნას. ეს პროცესი ეყრდნობა შემთხვევითი ფუნქციების თეორიას, რომელიც მიიღება მათემატიკური სტატისტიკის მეთოდოლოგიით (პარამეტრის საშუალო მნიშვნელობა , გადახრები , დისპერსია, კო-

რელაციური და სპექტრული ანალიზი და ა.შ.)

ფრეზირების დინამიკური პარამეტრების ურთიერთდამოკიდებულების გარკვევის მიზნით შევეცადოთ გამოვიყენოთ მისი გამარტივებული სქემა (იხ.ნახ.4) და ვისარგებლოთ დიფერენციალური განტოლებით

$$I\ddot{\alpha} = ML_1 \sin \alpha - R_z L_2 \sin \alpha - R_x L_2 \cos \alpha + Ql_3 \sin \alpha \quad (7)$$

სადაც:  $I$  - დაკიდებული ფრეზის მასის ინერციის მომენტი კგმ<sup>2</sup>;  $\alpha$  - დაკიდებული ფრეზის სადავის დახრის კუთხე, გრადუსებში;  $M$  - ფრეზის მასა ტექნოლოგიურ მოდულთან ერთად, კგ (ტ);  $L_i$  - მომენტების განსაზღვრის მხარი, მ;  $R_z, R_x$  - ფრეზისადმი ნიადაგის წინააღმდეგობის ძალები ფრეზის დისკის ცენტრში, ნ; რომლებიც  $R_x, R_z$  დაშლის შემდეგ წარმოიშობა.



ნახ. 4 ნიადაგის ფრეზირების დინამიკური პარამეტრების გაანგარიშების გამარტივებული სქემა- ა); ფრეზის კინემატიკური სქემა - ბ); აქსონომეტრია -გ)

გ)- 1-ხიდური აგრეგატი რელსებით; 2- ტექნოლოგიური მოდული; ა)- 3- დაკიდების მექანიზმი; 4- ფრეზის დამუშავების სიღრმეზე დაყენების ჩარჩო; 5- ჯალამბრის ტროსი; 6- სადავე; 7- ტექნოლოგიური მოდულის სამოდრაო რელსები; 8- ფრეზი; 9- ჯალამბრის ამძრავი; ბ)-10- გარე გადაცემა; 11- კონუსური გადაცემა; 12- მუშა ორგანო (ფრეზი); 13- რედუქტორი; 14- ელძრავი;  $V_1$  - ფრეზის მოძრაობის მიმართულება;  $V$  - ხა-ის მოძრაობის მიმართულება.

აგრეგატის დამყარებული მოძრაობის დროს  $v=const$  ინერციის მომენტი არ არსებობს და ბოლო განტოლება გაუტოლდება 0-ს, ანუ თუ ფრეზი მოძრაობს თანაბარი სიჩქარით (წონასწორობის რეჟიმში), შეიძლება გავანალიზოთ ფრეზის მოძრაობის განტოლება და რიგი გარდაქმნების შედეგად მივიღებთ ოპერატორის  $W$  გამოსახულებას.

$$ML_1 \sin \alpha - R_z L_2 \sin \alpha - R_x L_2 \cos \alpha + Q L_3 \sin \alpha = 0 \quad (8)$$

ბუნებრივია ფრეზის არათანაბარი მოძრაობის დროს ძალური ფაქტორები  $R_z^0$ ,  $R_x^0$  და  $Q^0$  მიიღებენ მყისიერ მცირე ძალებს (ნაზრდებს),  $\Delta \alpha$  ცვალებადობის გამო  $R_z = R_z^0 + \Delta R_z$ ;  $R_x = R_x^0 + \Delta R_x$ ;  $Q = Q^0 + \Delta Q$ , რომლის შედეგად ფრეზის სადავე დაიხრება კუთხით  $\alpha = \alpha_0 + \Delta \alpha$ ; სადაც „0“-ოვანი მაჩვენებელი შეესაბამება ფრეზის დამყარებულ მოძრაობას. რადგან  $\Delta \alpha$  მცირეა შეიძლება მივიღოთ  $\sin \Delta \alpha \approx \Delta \alpha$  ან  $\cos \Delta \alpha = 1$ , მაშინ (7) მიიღებს სახეს

$$I \ddot{\alpha} = ML_1 \sin(\alpha_0 + \Delta \alpha) - (R_z^0 + \Delta R_z) L_2 \sin(\alpha_0 + \Delta \alpha) - (R_x^0 + \Delta R_x) L_2 \cos(\alpha_0 + \Delta \alpha) + (Q^0 + \Delta Q) L_3 \sin(\alpha_0 + \Delta \alpha) \quad (9)$$

თუ ამ ფორმულაში გავითვალისწინებთ ზემოთხსენებულ ნაზრდებს მივიღებთ

$$R_x = f_1(\alpha, \dot{\alpha}, t); \quad R_z = f_2(\alpha, \dot{\alpha}, t) \quad (10)$$

ლინეარიზაციის მიზნით გამოვიყენებთ ტეილორის დაშლის მეთოდს, (პირველი ორი წევრის სახით) რის შედეგადაც მივიღებთ სადავის რხევის შესაბამის ფორმულას  $I \ddot{\Delta \alpha} = B \ddot{\Delta \alpha} + C \Delta \alpha = D f(t)$ , ხოლო აქ ნაზრდების და B, C, და D კოეფიციენტების გათვალისწინებით აღნიშვნების შემოღების შემდეგ დავდივართ სახემდე

$$T_1^2 \ddot{\Delta \alpha} + T_2 \ddot{\Delta \alpha} + \Delta \alpha = K f(t) \quad (11)$$

სადაც  $T_1$  და  $T_2$  არის ინერციული და დემფირული (ჩამხშობი) მოვლენების აღმნიშვნელი სიდიდეები,  $K$  - სადავის დაწოლის კოეფიციენტი,  $f(t)$ - ფრეზის მოსალოდნელი აგზნება.

შემდგომი გარდაქმნები საშუალებას იძლევა მივიღოთ ოპერატორის-გადამცემი ფუნქციის სახე

$$W = \frac{K}{T_1^2 P^2 + T_2 P + 1} \quad (12)$$

რომლის საფუძველზე მიღებული კვადრატული განტოლების  $T_1^2 P^2 + T_2 P + 1 = 0$  ფესვები წარმოადგენენ ფრეზის სადავის რხევას  $\Delta\alpha$  კუთხით

$$\Delta\alpha = K \left( 1 - \frac{\lambda_2}{\lambda_2 - \lambda_1} e^{\lambda_1 t} + \frac{\lambda_1}{\lambda_2 - \lambda_1} e^{\lambda_2 t} \right) \quad (13)$$

სწორედ ესაა ფრეზის „გადამცემი ფუნქციის“ ანალიზური გამო-სახულება, მათემატიკური მოდელი. მიღებული  $\Delta\alpha$ -ს მნიშვნელო-ბები გათვალისწინებული უნდა იყოს დაპროექტების დროს რხევი-თი მოვლენების სასარგებლო დონეზე დასაყვანად.

ამავე თავში განხილულია აგრეთვე ფრეზების მუშაობის თავისე-ბურებები ნ.ი.კლიონინის, ვ.ა.საკუნის, ა.ბ.ლურიეს და სხვების მიერ დამუშავებული მეთოდების მიხედვით და აგრეთვე ხა-ის საექ-სპლოატაციო რეჟიმების ოპტიმიზაცია ენერგომოთხოვნების კრიტე-რიუმით.

ხა-ის ენერგეტიკული წყაროს შერჩევის მიზნით, განხორციე-ლებულია რიგი საინჟინრო გაანგარიშებები და მიღებულია სისტე-მის მოძრაობის სიჩქარე, აჩქარება, გადაადგილებისათვის საჭირო ძა-ლები, სიმძლავრეები და ა.შ. მაგრამ თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე ეს საკმარისი არაა. საჭიროა თეორიულად იქნას შეს-წავლილი სისტემის ე. წ. გარდამავალი რეჟიმების ხასიათი, მოტანი-ლი პარამეტრების, კერძოდ სიმძლავრის კორექტირების მიზნით.

კვლევითი თვალსაზრისით ხა-ი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. ე.წ. გარდამავალი პროცესების დროს უნდა შეიზღუდოს აჩქა-რებები. დასაშვებ ზღვრებში საუბარია ისეთ მოვლენებზე, რომლებ-მაც ხშირად შეიძლება იჩინოს თავი ხა-ის მუშაობის პროცესში სხვა-დასხვა რეჟიმების დროს სავალი თვლების ბუქსაობის ან გაქანე-ბისას, ან მყისიერი დამუხრუჭებისას.

2. ელექტროძრავს უნდა ჰქონდეს რევერსირების შესაძლებლობა (საშუალება), როგორც ძრავის მუშაობის, ასევე დამუხრუჭების პრო-ცესში.

ხა-ში დინამიკური დატვირთვები წარმოიშობა სხვადასხვა რეჟიმის დროს (გაშვება, გაჩერება, რევერსი და სხვა), როცა ძრავის მიერ განვითარებული მომენტის  $M$  შეწონასწორება სწარმოებს ძრავის ლილვზე განვითარებული სტატიკური მომენტით  $M_{სტ}$  და ძალური მექანიზმების დინამიკური მომენტებით  $M_{დინ}$  წარმოქმნილი ინერციის ძალებით. ზოგადად ამ სისტემის მოძრაობის განტოლება ასე გამოისახება

$$\pm M = M_{დინ} \pm M_{სტ} \quad (14)$$

სადაც, თავის მხრივ

$$M_{დინ} = I_{\Sigma} \frac{d\omega}{dt}, \quad (15)$$

აქ ძრავის როტორისა და მბრუნავი ნაწილების (მასების) დაყვანილი ინერციის მომენტია

$$I_{\Sigma} = KI_{ა} + m_{\Sigma} \left( \frac{v}{\omega_{ა}} \right)^2 \quad (16)$$


სადაც  $m_{\Sigma}$ -ხმ-ის სწორხაზობრივ მოძრაობაში მყოფი ელემენტების ჯამური მასაა, კგ; ხოლო  $K$ -დაზღვევის კოეფიციენტი. აქ საჭიროა გავითვალისწინოთ კიდევ ერთი კოეფიციენტი  $\eta$ . აჩქარების დროს ენერგია მიდის ძრავიდან ტრანსმისიისკენ, ხოლო დამუხრუჭების დროს პირიქით-ტრანსმისიიდან ძრავისკენ, ანუ შესაბამისად (16) - დან გვექნება

$$I_{\Sigma} = KI_{ა} + \left[ m_{\Sigma} \left( \frac{v}{\omega_{ა}} \right)^2 \right] \cdot \eta; \quad I_{\Sigma} = KI_{ა} + m_{\Sigma} \left( \frac{v}{\omega_{ა}} \right)^2 \cdot \eta \quad (17)$$

ამრიგად ხა-ის ტრანსმისიებში გარდამავალი პროცესების დროს წარმოქმნილი დანაკარგების გათვალისწინება გამორიცხავს ძრავის სიმძლავრის შერჩევის პროცესში უხეშ შეცდომებს.

ჩვენს მიერ ხა-ის სიმძლავრის, მგრეხავი მომენტის და კუთხური სიჩქარის ანგარიში ჩატარდა ცნობილი მეთოდებით და მიღებულ იქნა შემდეგი ძირითადი პარამეტრები  $N_{ა}=3,3$  კვტ;  $M_{ნომ}=21,75$ მ;  $\omega_{ნომ}=152$ რად/წმ.





ნახაზი 5. ასინქრონული ძრავას მექანიკური მახასიათებლის დამახასიათებელი წერტილები

ამ მონაცემების საფუძველზე კატალოგებიდან შევარჩიეთ და დავაზუსტეთ ძრავების სათანადო პარამეტრები, გამოვიყენეთ აკად. რ. მახარობლიძის თეორია და ავაგეთ ელძრავის მექანიკური მახასიათებელი (იხ.ნახ.5), რომლისთვისაც მიღებულია წრფივი კორელაციური დამოკიდებულება  $M = 455,7 - 2,7\omega$

ამრიგად პრაქტიკაში აჩქარებისა და დამუხრუჭების დროს ორიენტირად შეიძლება მივიღოთ: ხა-ის მოძრაობის დაწყებად 3-5 წმ, ხოლო ტექნოლოგიური მოდულის ამძრავის გაშვებაზე 10-15 წმ.

მეოთხე თავში წარმოვადგენთ ექსპერიმენტალურ გამოკვლევას ჩვენს მიერ დაკიდებული ფრეზის მიერ ნიადაგის დამუშავების, ხარისხის დასადგენად. გაზომილ იქნა ფრეზის მიერ დამუშავებულ ზედაპირზე დაქუცმაცებული მასის შემადგენელი უფორმო ბელტების მაქსიმალური სიგრძე ( $L_i$ ), შედეგების დამუშავება მოხდა მათემატიკური სტატისტიკისა და ალბათობის თეორიის გამოყენებით. გა-

ნისაზღვრა ბელტების ზომების საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობა, საშუალო კვადრატული გადახრა და ვარიაციის კოეფიციენტი. ზომების ცვლილება დაემორჩილა ნორმალური განაწილების კანონს.


შერჩეულ იქნა განაწილების ფუნქციის  $f(L)$  მნიშვნელობები. საკვლევი პარამეტრის ოპტიმალური ზომების თეორიული და სტატისტიკური განაწილების ფუნქციების ადეკვატურობა შემოწმებულ იქნა ვეიბულის კრიტერიუმის მიხედვით, რომლის საფუძველზე აგებულ იქნა გრაფიკი (იხ.ნახ. 6)

როგორც ცნობილია ვეიბულის განაწილების კანონს, სიმჭიდროვის განაწილების მიხედვით შემდეგნაირად გამოისახება

$$f(L) = \frac{b}{a} \left(\frac{L}{a}\right)^{b-1} \exp\left[-\left(\frac{L}{a}\right)^b\right] \quad (18)$$

სადაც  $a$ ,  $b$  და სხვა პარამეტრების სტანდარტული ცხრილიდან აღებისა და სათანადო გამოთვლებით ვლებულობთ დიფერენციალურ ფუნქციას (ალბათობის სიმკვრივეს) საბოლოო სახეს

$$f(L) = 1 - \exp\left[-\left(\frac{L}{20,6}\right)^{2,1}\right] \quad (19)$$



ნახ. 6. ბელტის ოპტიმალური ზომების განაწილება ხა-ის ტმ-ით ნიადაგის ფრეზირების დროს.

- 1.1<sup>1</sup>-სტატისტიკური რიგის ჰისტოგრამა და გლუვი მრუდი (ვეიბულის ფუნქცია)
- 2.2<sup>1</sup>- ინტერგრალური (მათემატიკური) ფუნქცია

ცნობილია, რომ ფრეზის კინემატიკური პარამეტრის  $\lambda$ -ს გარდა ბელტის დაქუცმაცების ზომებზე დამატებით გავლენას ახდენენ: ნიადაგის ტიპი, ტენიანობა, ზედაპირული მდგომარეობა (ნახნავი, ნასვენნი, კულტივირებული და ა.შ.): ამ ფაქტორებიდან ყველაზე არსებითი ჩვენი აზრით არის მიწოდება  $\lambda$  და ტენიანობა  $T$ . ეს ორი არგუმენტი  $\lambda$  და  $T$  მიღებულ იქნა ორფაქტორიანი ექსპერიმენტების დაგეგმვისათვის  $Y = f(x_1, x_2)$  და ჩატარდა სათანადო კვლევა არსებული მეთოდის გათვალისწინებით, რის საფუძველზეც მიღებული იქნა შემდეგი სახის რეგრესიული განტოლება  $y = 28,5 + 7,25\lambda$ . სადაც 28,5 თავისუფალი წევრია და ეტოლება ბელტის საშუალო მნიშვნელობას მმ-ში; როგორც რეგრესიული განტოლებიდან ჩანს მეორე ფაქტორი - ტენიანობა დაქუცმაცების ხარისხზე ვერ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას.

ექსპერიმენტის ჩატარებისას გამოირკვა, რომ ნიადაგის დამუშავების დროს ფრეზზე მოქმედებენ ჰორიზონტალური, ვერტიკალური და დახრილად მოქმედი (გალოპირებული) ვიბრაციები. საავტომობილო ამორტიზაციებით მათი მთლიანი ჩახშობა მიზანშეწონილი არაა, რადგან საერთო ზომიერი ვიბრაციები პირიქით ეხმარება ფრეზირების პროცესს და განაპირობებს ნიადაგის დამუშავების მაღალ ხარისხს.

**ნაშრომის მე-5 თავი** ეძღვნება სადისერტაციო ნაშრომის ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშებას, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს ე.წ. ორგანული სოფლის მეურნეობის ინტერესებიდან გამომდინარე;

- განისაზღვრა შერჩეული კულტურების მოვლა-მოყვანით მიღებული წმინდა მოგება, რამაც შეადგინა 7125 ლარი/სეზონზე.

- განისაზღვრა ხიდური აგრეგატის, როგორც ტექნოლოგიური დანადგარის დამზადებასა და საექსპლოატაციოდ საჭირო დანახარჯი და შეადგინა 11448 ლარი.

- კაპიტალდაბანდების გამოსყიდვის ვადა ან ბანკის საპროცენტო კომპენსაცია შედგება 3 წელიწადში.

## საერთო დასკვნები.

1. დასაბუთებულია მდგრადი ეკონომიკური შემოსავლების მქონე ფერმერებისათვის ხა-ის, როგორც მობილურ-სტაციონალური დანადგარის გამოყენების უპირატესობანი დაბალღეროიანი და ბოსტნეული კულტურების მოვლა-მოყვანის სამუშაოების ჩასატარებლად წლის ნებისმიერ დროს.
2. ნიადაგის დამუშავების, მორწყვის, ბიოსასუქის და ბიოპრეპარატების შეტანის, თესვისა და რგვის ტექნოლოგიურ ოპერაციაზე ორგანული მიწათმოქმედების მოთხოვნების შესაბამისად შერჩეულ იქნა ხა-ზე ძირითადი სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანები, უპირატესად მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებიდან.
3. ჩატარებულია საინჟინრო გაანგარიშებები ხა-ის საერთო წონისა და მისთვის სორტამენტული მასალის რაოდენობრივი განსაზღვრისათვის; ხა-ის ცალკეული კვანძების, ამძრავების დასაკომპლექტებლად, ელძრავის, რედუქტორის, ჯალამბრისა და მათი აქსესუარების შერჩევა დასაკომპლექტებლად. დამუშავდა ხა-ის ავტომატიზირებული მართვის ელექტრული სქემები.
4. დამუშავებულია ხა-ის გაუმჯობესებული ვარიანტი, რომლის საშუალებითაც შეიძლება ვაწარმოოთ ნიადაგის ძირითადი და თესვისწინა ოპერაციების წარმოება; ამასთან თეორიულად დასაბუთებულია აგრეთვე ტმ-ის საშუალებით ხა-ის გადადგილების პროცესში ჩატარდეს ბიოპრეპარატებისა და ბიოსასუქების შეტანა, თესვა და რგვა, სტაციონალური მდგომარეობიდან მრავალჯერადი დაწვიმება.
5. ჩატარებულია ანალიზური კვლევა ხა-ს დინამიკური წონასწორობის შესახებ. შედგენილ იქნა მისი მოძრაობის დიფერენციალური განტოლება, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს მის კინემატიკურ პარამეტრებს, დაყვანილ მასებს, ინერციის მომენტებს, მოძრაობის სიჩქარეებსა და სხვა.
6. თეორიულად განისაზღვრა ხა-ის მასათა ცენტრის კოორდინატე-

ბი და საყრდენ თვლებზე მოსული დატვირთვების, ხა-ის სახე-  
ლოსნოს (კაბინის) საერთო წონის, ინერციისა და ქარის ძალები,  
რაც უკავშირდება ტმ-ის გადაადგილებით დამატებითი ძალების  
წარმოშობას, აგრეთვე ფრეზის ხვედრით ენერგოტევადობას (წე-  
ვით წინააღმდეგობას).

7. საყრდენ-საგორაკებში წარმოშობილი დატვირთვების მოსალოდ-  
ნელი დისბალანსური ზრდის გათვალისწინებით ჩატარდა ტმ-ის  
დინამიკური წონასწორობის ანალიზური შემოწმება, საგორაკი  
თვლების მიმმართველებში (სალასკებში) შემობრუნებით გამოწ-  
ვეული დამატებითი დატვირთვების გათვალისწინებით, რაც  
ზრდის დატვირთვებს ჯალამბრულ ამძრავში.
8. ჩატარდა დაკიდებული ფრეზის დინამიკური გამოკვლევა, რის-  
თვისაც გამოყენებული იქნა ფრეზის ფუნქციონირების დიფერენ-  
ციალური განტოლება. ფუნქციის გაწრფივება მოხდა ტეილორის  
მეთოდით. მიღებული - „გადამცემი ოპერატორი“ დაყვანილ იქნა  
კვადრატულ განტოლებამდე, რაც განაპირობებს ფრეზის თამა-  
სის გალოპირებულ (დახრილ) რხევას.
9. განხორციელდა ხა-ის სამუშაო რეჟიმების ოპტიმიზაცია. (გაშვება,  
დამუხრუჭება, რევერსი და სხვა), ანუ ტრანსმისიაში გარდამავა-  
ლი პროცესების დროს წარმოქმნილი დატვირთვები გათვალის-  
წინებული იქნა ასინქრონული ელექტროძრავების შერჩევას.
10. ხა-ზე ჩატარებული დაკიდებული ფრეზირების პროცესის ექ-  
სპერიმენტალური გამოკვლევის შედეგად მიღებულ იქნა, რომ  
ტექნოლოგიური ოპერაციის ხარისხობრივი მაჩვენებელი დაე-  
მორჩილა ნორმალური განაწილების კანონს, კერძოდ ვეიბულის  
განაწილებას, ხოლო ფრეზის ე.წ. „კინემატიკური პარამეტრის“  
დამოკიდებულება ფრეზის დანების რიცხვთან დადგინდა უმცი-  
რეს კვადრატთა ჯამის მეთოდით  $y=28,5+7,25x$
11. ხა-ის ტმ-სა და ფრეზს შორის ჩასმულმა ზამბარულმა სისტე-  
მამ, მხოლოდ ნაწილობრივ შეამცირა რხევები. ამ სისტემის მუშა-  
ობაში ე.წ. გალოპირებული რხევების არსებობა განპირობებულია

ფრეზის თავისუფალი დაკიდებით, რაც იშვიათია საბურავებიანი სატრაქტორო აგრეგატების შემთხვევაში. ამასთან მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია ვიბრაციების მაქსიმალური შემცირება საავტომობილო ამორტიზაციების გამოყენებით, რამეთუ ზომიერი ვიბრაციები პირიქით ეხმარება ფრეზირების პროცესს და განაპირობებს ნიადაგის დამუშავების მაღალ ხარისხს.

12. ხიდური აგრეგატის შექმნისა და ექსპლოატაციაში გაშვებისათვის საჭირო დანახარჯმა (ღირებულება) შეადგენა 11448 ლარი. წლიურმა სუფთა მოგებამ ბოსტნეული კულტურების წარმოებაზე შეადგინა 7125 ლარი/წელიწადში, ხოლო საბანკო სექტორიდან არსებული სესხის დაფარვა განხორციელდება დაახლოებით 3 წელიწადში.

დოქტორანტ თემურ ლემკაშელის ავტორობით და თანაავტორობით გამოქვეყნებული შრომები (სულ 8 ნაშრომი)

1. Leshkasheli T., kilasonia E., chabukiani R. *INTERNACIONAL SCIENTIFIC JOURNAL. -MECHANIZATION IN AGRICULTURE. Production of environmentallu safe low-stalk agricultural raw materials using the bridge assembly. BULGARINA ASSOTIOATION OF AGRICULTURAL MACHINERY YEARLXV ISSUE 1/2020. WWW.STUMEJOURNALS.COM*
2. ლემკაშელი. თ., კილასონია ემზარი., ჭაბუკიანი რანი. **ხიდური აგრაგატის ნიადაგის ფრეზირების ხარისხის ექსპერიმენტალური კვლევის შედეგების ანალიზი. აწსუ-ს მოამბე. №2 (14). ქუთაისი. 2019 გვ 70-81**
3. ლემკაშელი თ. ნ., ჭაბუკიანი რ.რ. **ხიდური აგრაგატის საყრდენ თვლებზე მოსული დინამიკური დატვირთვების გაანგარიშების საკითხისათვის. აწსუ-ს მოამბე. №2 (12). ქუთაისი. 2018. გვ174-181**
4. ჭაბუკიანი რ.რ., ლემკაშელი თ.ნ. **ხიდური აგრაგატის ზოგიერთი ძალურ-ენერგეტიკული პარამეტრების გაანგარიშება. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. №2(40). თბილისი. 2018 გვ 74-79.**
5. Р. Чабукиани., Т. Лешкашли., Н. Пурцеладзе. **К вопросу эффективности использования мобильного мостового агрегата в возделывании низкостебельных культур.** პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი ნოვაცია. № 2. ქ. ქუთაისი 2018 წ. გვ.19-24
6. ა. სამადალაშვილი., გ. დადუნაშვილი., ა. ლომიძე., თ. ლემკაშელი. **სასოფლო სამეურნეო მანქანების უკეთესი კონსტრუქციების შერჩევა თვისობრივი (ხარისხობრივი) მახასიათებლების რაოდენობრივი შეფასების საფუძველზე. აწსუ-ს მოამბე. № (11.) ქუთაისი. 2018. გვ 193-205**
7. А. Г. Самадалашвили., А. Н. Ломидзе., Г. Г. Дадунашвили., Т. Н. Лешкашли. **Машины для внесения органических и минеральных**

удобрений на поверхности вспаханных полос. Белорусский национальный технический университет. автотракторный факультет автомобиле- и тракторостроение. *Материалы Международной научно-практической конференции.* Минск. 2018. с 138-142

8. А. Г. Самадалашвили., А. Н. Ломидзе., Т. Н. Лешкашели. Антиэрозионные комбинированные машины для полосовой обработки почвы и выкапывания корнеплодов. Белорусский национальный технический университет. автотракторный факультет автомобиле- и тракторостроение. *Материалы Международной научно-практической конференции.* Минск. 2018. с 279-287



**Ministry of Education, Science, Culture and Sport of Georgia  
Akaki Tsereteli State University**

**Copyrighted manuscript**

**Temur Leshkasheli**

**STUDYING THE PARAMETERS OF A MOBILE  
BRIDGE ASSEMBLY WITH A VIEW TO  
INTENSIFYING PRODUCTION OF LOW-STEM CROPS**

**The Author's Abstract**

**of the Doctoral Thesis Nominated for Academic Degree  
of Doctor of Engineering in Transport (0407)**

**Kutaisi 2020**

Ministry of Education, Science, Culture and Sport of Georgia  
Akaki Tsereteli State University

Scientific advisor: **Rani Chabukiani**- Doctor of Technical Science, Professor Emeritus, Academician of the Academy of Environmental Sciences

- Reviewers: 1. Zaza Makharoblidze, Doctor of Technical Science, Professor, leading researcher of the Department of Mobile Machines at the Raphiel Dvali Institute of Machine Mechanics;  
2. Giorgi Purtskhvanidze, Professor, Akaki Tsereteli State University.  
3. Tamaz Tsanava, Doctor of Technical Science, Professor Emeritus, Akaki Tsereteli State University;

Defense of a thesis will be held \_\_\_\_\_ October 27, 2020 at 14:00 \_\_\_\_\_  
(date and time)

at the session of the Dissertation Commission created by Dissertation Council of the Faculty of Technical Engineering. Address: Auditorium №1114, 59 Tamar Mepe Street, 4600, Kutaisi.

Dissertation is available in the library of the Akaki Tsereteli State University at the address: 59 Tamar Mepe Street, 4600, Kutaisi

The Author's Abstract was sent out “ \_\_\_\_\_ ” \_\_\_\_\_  
(date)

Dissertation Council  
Secretary, Associate Professor \_\_\_\_\_ /N. Sakhanberidze/

## General description of paper

**Topicality of research.** For a long time, market gardening has become traditional in the central part of Imereti region, which is a major livelihood security throughout this region. This has long been facilitated by the best soil and climatic conditions and the high quality of primary produced, due to which they have long conquered the stable internal and external markets. It should be noted that demand for these crops is growing day by day. The main advantages of vegetable crops produced in Georgia are their excellent gustatory qualities, environmental purity and favorable climate for counter-seasonal production.

It is well known that vegetable crops tending and growing operations are very complex, and except for some operations, they are not easily amenable to use of mechanization, due to which pretty heavy manual labor is predominant.

